საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2021 წლის 16 ივლისი**

დისციპლინური საქმე №199/19
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- (წარმომადგენელი) 2019 წლის 2 დეკემბრის №199 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 10 თებერვლის №199/19 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2021 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლე შეგნებულად, გადამოწმების გარეშე უგზავნიდა მოპასუხეს სასამართლო კორესპონდენციას არასწორ მისამართზე მაშინ, როდესაც წარმოდგენილ დოკუმენტებში აშკარად იყო მითითებული მოპასუხის რეალური მისამართი. აღნიშნულის გამო, მხარე იძულებული იყო სისტემატიურად შეემოწმებინა სასამართლო წარმოების ელექტრონული გვერდი, რომ შეეტყო საქმის წარმოების დეტალები. მოსამართლე არც იმით დაინტერესდა, საიდან შეიტყო მოპასუხემ მის წინააღმდეგ წარმოებული სასამართლო დავის არსებობის შესახებ. ამდენად, მოსამართლე იყო მიკერძოებული და ვალდებული იყო აეცილებინა საქმე. მხარის დასაბუთებული შუამდგომლობის მიუხედავად, მან საქმე არ აიცილა (2019 წლის 22 ნოემბრის სხდომაზე).

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2019 წლის 27 აგვისტოს -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს მოპასუხის, -- -- წინააღმდეგ და მისთვის საბანკო საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების (-- ლარი) დაკისრება მოითხოვა (სარჩელი ასევე შეიცავდა მოთხოვნას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ). საქმე განსახილველად მოსამართლე -- -- გადაეცა.

2019 წლის 27 აგვისტოს განჩინებით სარჩელის ავტორის მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების წილის გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა. აღნიშნული განჩინება -- -- გაეგზავნა 2019 წლის 2 სექტემბერს, სარჩელის ავტორის მიერ სარჩელში მითითებულ მისამართზე, -- --

საქართველოს ფოსტის მონაცემების მიხედვით, არასრული მისამართის გამო, სასამართლო გზავნილის მოპასუხისათვის ჩაბარება ვერ მოხერხდა ორჯერ, 2019 წლის 3 და 6 სექტემბერს (უკუგზავნილის დეტალების შესახებ დოკუმენტში მოპასუხის მისამართად მითითებული იყო -- --).

2019 წლის 27 აგვისტოს განჩინება -- -- კიდევ ერთხელ გაეგზავნა 2019 წლის 17 სექტემბერს (მისამართი: -- --). გზავნილის მოპასუხისათვის ჩაბარება, არასრული მისამართის გამო, ვერ მოხერხდა ორჯერ, 2019 წლის 20 და 24 სექტემბერს (უკუგზავნილის დეტალების შესახებ დოკუმენტში მოპასუხის მისამართად მითითებული იყო -- --).

2019 წლის 15 ოქტომბერს მოპასუხემ განცხადებით მიმართა მოსამართლე -- -- და საქმის მასალების გაცნობა მოითხოვა (განცხადებაში -- -- მისამართად მითითებული იყო -- --).

2019 წლის 16 ოქტომბერს მოსამართლე -- -- მოპასუხეს 2019 წლის 27 აგვისტოს განჩინება გაუგზავნა 2019 წლის 15 ოქტომბრის განცხადებაში მოპასუხის მიერ მითითებულ მისამართზე, -- --.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ -- -- მისი 2019 წლის 15 ოქტომბრის განცხადების საფუძველზე, საქმე გადაეცა 2019 წლის 23 ოქტომბერს.

2019 წლის 23 ოქტომბერს სარჩელის ავტორის წარმომადგენელმა, -- -- განცხადებით მიმართა მოსამართლე -- -- და იმის გამო, რომ მოპასუხისათვის სარჩელის და თანდართული დოკუმენტების ჩაბარება ვერ მოხერხდა არასწორი მისამართის გამო (წარმოდგენილი დოკუმენტებით -- -- სასამართლო გზავნილი გაგეგზავნა, როგორც ძველ, ისე მის მიერ განცხადებაში მითითებულ ახალ მისამართზე), სარჩელის მოპასუხისათვის საჯარო შეტყობინების გზით ჩაბარება მოითხოვა.

2019 წლის 25 ოქტომბერს -- -- სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით გამოწვეული მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის მოთხოვნით მიმართა სასამართლოს.

2019 წლის 29 ოქტომბერს მოპასუხეს უარი ეთქვა მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის შესახებ განცხადების დაკმაყოფილებაზე (გაეგზავნა მოპასუხის მიერ მითითებულ მისამართზე, -- --).

-- -- წარმომადგენელმა, -- -- სასამართლოს შესაგებელი წარუდგინა 2019 წლის 31 ოქტომბერს, რომლითაც არ დაეთანხმა სასარჩელო მოთხოვნას.

2019 წლის 1 ნოემბრის განჩინებით საქმეზე მოსამზადებელი სხდომა დაინიშნა 2019 წლის 22 ნოემბერს. აღნიშნული განჩინება მოპასუხეს ჩაბარდა 2019 წლის 16 ნოემბერს (გაეგზავნა სარჩელში მითითებულ მისამართზე, -- --).

2019 წლის 21 ნოემბერს მოპასუხემ შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს და -- -- ზიანის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა (-- ლარი).

საქმეზე მოსამზადებელი სხდომა ჩატარდა 2019 წლის 22 ნოემბერს. აღნიშნულ სხდომაზე მოსამართლემ დააკმაყოფილა მოსარჩელის შუამდგომლობა საქმეზე მტკიცებულებების დართვის შესახებ და უარი უთხრა მოპასუხეს შეგებებული სარჩელის წარმოებაში მიღებაზე.

2019 წლის 22 ნოემბერს მოპასუხის წარმომადგენელმა სასამართლოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა მოსამართლის აცილების თაობაზე (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით).

სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია მოსამართლის აცილების შუამდგომლობის თაობაზე და 2019 წლის 22 ნოემბრის საოქმო განჩინებით უარი უთხრა მას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

მოსამართლის 2019 წლის 22 ნოემბრის საოქმო განჩინებით მოსამზადებელი სხდომა გადაიზარდა

მთავარ სხდომაში და საქმეზე გამოცხადდა საბოლოო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი.

2019 წლის 22 ნოემბრის განჩინება შეგებებული სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის შესახებ -- -- წარმომადგენელს ჩაბარდა 2019 წლის 29 ნოემბერს. მოპასუხემ აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა 2019 წლის 04 დეკემბერს.

-- -- საქმეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა 2019 წლის 25 დეკემბერს. წინამდებარე დასკვნის მომზადების დროისათვის, საქმის განხილვა -- სააპელაციო სასამართლოში არ დასრულებულა.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

-- -- 2019 წლის 2 დეკემბრის №199 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ბ.დ.“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ბ.დ.“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება, „მოსამართლის მიერ საქმის აცილებაზე/თვითაცილებაზე უარის თქმა, როცა არსებობს საქმის აცილების კანონით გათვალისწინებული აშკარა საფუძველი.“

მოსამართლის მიერ საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის დარღვევაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს „მოსამართლეთა პროფესიული ქცევის მარეგულირებელი პრინციპებისა და წესების, კერძოდ, ეთიკის ნორმების, თანამდებობასთან შეუფერებელი ქცევისა და მიუკერძოებლობის შესახებ“ ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) №3 დასკვნას. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, „უფლებამოსილებანი, რითიც მოსამართლეები არიან აღჭურვილნი განისაზღვრება არა მხოლოდ ეროვნული კანონმდებლობით და ქვეყნის ერის სურვილით, არამედ საერთაშორისო სამართლისა და მართლმსაჯულების პრინციპებით, როგორც ეს აღიარებულია თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში.“

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1985 წელს შემუშავებული დოკუმენტის „სასამართლოს დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპების“ მე-2 მუხლი ითვალისწინებს შემდეგ პირობას: „სასამართლომ მის წინაშე წარდგენილი საქმეები უნდა გადაწყვიტოს მიუკერძოებლად, ფაქტებზე დაყრდნობით და კანონის შესაბამისად, ნებისმიერი მხრიდან და ნებისმიერი მიზნით ყოველგვარი შეზღუდვის, შეუსაბამო ზეგავლენის, იძულების ზეწოლის, დაშინების ან პირდაპირი თუ არაპირდაპირი ჩარევის გარეშე.“

მოსამართლის მიუკერძოებლობის სტანდარტებთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი განმარტებაა გაკეთებული სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპებში, სადაც აღნიშნულია, რომ (2.1) „...მოსამართლემ უნდა განახორციელოს მისი სამოსამართლო ვალდებულებანი ფავორიტიზმის, მიკერძოების ან წინასწარი განწყობის გარეშე.“ (2.5) „მოსამართლემ უნდა აიცილოს საქმე ისეთ შემთხვევებში, როდესაც მას არ შესწევს უნარი საქმე განიხილოს მიუკერძოებლად ან როდესაც გონიერ დამკვირვებელს შეიძლება მოეჩვენოს, რომ მოსამართლეს არ შესწევს საქმის მიუკერძოებლად განხილვის უნარი.“ (3.1) „მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს რომ მისი საქციელი გონიერი დამკვირვებლის თვალში იყოს უმწიკვლო.“ ამასთან, (3.2) „მოსამართლის ქცევამ და მოქმედებამ უნდა განამტკიცოს საზოგადოების ნდობა სასამართლოს შეუვალობის მიმართ. მართლმსაჯულება არა მხოლოდ უნდა აღსრულდეს, არამედ უნდა გამოჩნდეს როგორც აღსრულებული.“

მოსამართლის აცილების მიღებული კრიტერიუმია მისი მიკერძოებულობის თაობაზე საფუძვლიანი ეჭვის არსებობა. მიკერძოების ან წინასწარ შექმნილი აზრის არსებობის თაობაზე ვარაუდის საფუძველი დგინდება სხვადასხვა იურიდიული ფორმულების გათვალისწინებით, როგორებიცაა: „მომეტებული ალბათობა“, „რეალური შესაძლებლობა“, „დიდი ალბათობა“, ასევე „საფუძვლიანი ეჭვი“ მიკერძოების თაობაზე. მოსამართლის ქცევა ფასდება ჰიპოთეზური გარეშე დამკვირვებლის პოზიციიდან, რათა ხაზი გაესვას გამოყენებული კრიტერიუმის ობიექტურობას, რომელიც ითვალისწინებს სასამართლოსადმი საზოგადოებრივი ნდობის შენარჩუნების აუცილებლობას და მოსამართლის მუშაობის მხოლოდ იმ შეფასებას არ ეყრდნობა, რომელიც სასამართლოს შემადგენლობაში შემავალ მის კოლეგებს შეეძლოთ გაეკეთებინათ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, „მოსამართლემ არ შეიძლება განიხილოს საქმე ან მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, თუ ის (ა) ამ საქმეში თვითონ წარმოადგენს მხარეს, ან მას ამა თუ იმ მხარესთან საერთო უფლებები ან ვალდებულებები აკავშირებს, (ბ) ამ საქმის ადრინდელ განხილვაში მონაწილეობდა მოწმედ, ექსპერტად, სპეციალისტად, თარჯიმნად, წარმომადგენლად ან სასამართლო სხდომის მდივნად, (გ) მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია, (დ) პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან თუ არის სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში, (ე) იყო მედიატორი იმავე საქმეზე ან ამ საქმესთან არსებითად დაკავშირებულ სხვა საქმეზე.“ იმ შემთხვევაში, თუ მხარე გონივრული განსჯის შედეგად, მოსამართლის ქმედებების გათვალისწინებით ჩათვლის, რომ სახეზე არის ზევით მოყვანილი გარემოებებიდან ერთ-ერთი (ან რამდენიმე ერთად), ის უფლებამოსილია სასამართლოს წინაშე დააყენოს შუამდგომლობა მოსამართლის აცილების თაობაზე.

წინასწარი მოკვლევის შედეგად დადასტურდა, რომ მოპასუხემ მოსამართლის აცილების შესახებ შუამდგომლობით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად 2019 წლის 22 ნოემბერს მიმართა სასამართლოს. მხარის მტკიცებით, მისმა მარწმუნებელმა სადავო ქონებაზე (უძრავი ნივთი, რომლის გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა აეკრძალა მოპასუხეს) 2019 წლის 26 აგვისტოს დადო ნასყიდობის ხელშეკრულება. გარიგების მხარეებმა არაფერი იცოდნენ სასამართლოში მიმდინარე დავის შესახებ. -- -- შესაბამისი მტკიცებულებების გარეშე დააკმაყოფილა მოსარჩელის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე სწორედ ხსენებულ ქონებასთან მიმართებაში, რითაც ხელი შეუშალა მოპასუხეს უძრავი ნივთის განკარგვაში (მოსამართლე -- -- 2019 წლის 27 აგვისტოს განჩინების საფუძველზე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ უარი უთხრა მხარეებს ქონების ახალ მესაკუთრეზე რეგისტრაციაზე). გარდა ამისა, საქმის მასალებში არ მოიპოვებოდა დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა, მოსარჩელის, -- -- უფლებამოსილებას, ეწარმოებინა სასამართლო დავები ან ასეთი შინაარსის რწმუნებულება გაეცა მესამე პირებზე. ასევე საეჭვო გარემოებას ქმნიდა ის ფაქტი, რომ მოსამართლემ უარი უთხრა მოპასუხეს შეგებებული სარჩელის წარმოებაში მიღებაზე და საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, განზრახ უგზავნიდა მხარეს სასამართლო გზავნილს არასწორ მისამართზე.

მოსამართლე -- -- მიერ 2019 წლის 22 ნოემბერს მოსამართლის აცილების შესახებ შუამდგომლობაზე უარის თქმის განჩინების გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ მოსამართლე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ განჩინების მიღებისას ხელმძღვანელობდა მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების და კანონმდებლობის შესაბამისად. ე.წ. „საჯარო რეესტრის ჩანაწერის უტყუარობის პრეზუმფციის“ (სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის შესაბამისად) გათვალისწინებით მოსამართლეს არ შეეძლო სცოდნოდა იმის შესახებ, რომ მოპასუხეს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ განჩინების მიღებამდე ერთი დღით ადრე დადებული ჰქონდა ნასყიდობის ხელშეკრულება მესამე პირთან. გარდა ამისა, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიზანი არის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა და სადავო ქონების

გასხვისება არსებითად გაართულებდა სამომავლო უფლების განხორციელებას. მოსამართლე უფლებამოსილი იყო შინაგანი რწმენის საფუძველზე გადაეწყვიტა შუამდგომლობის დაკმაყოფილების საკითხი და ის მოქმედებდა მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული შესაძლებლობის ფარგლებში.

ასევე დადგინდა, რომ როგორც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე, ისე სარჩელის ავტორის მიერ წარმოდგენილ საქმის მასალებში, მოიპოვებოდა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებდა, მოსარჩელის, -- -- გენერალური დირექტორის მოადგილის, -- -- უფლებამოსილებას, ეწარმოებინა სასამართლო დავები ან გაეცა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი მესამე პირებზე. ამდენად, -- -- მიერ შპს „--"-ზე გაცემული რწმუნებულების კანონიერებაში ეჭვის შეტანის საფუძველი მოსამართლე -- -- არ ჰქონია.

საქმის განხილვის მონაწილეთა მხრიდან მოსამართლის ქმედების შეფასება, როგორც წესი, განპირობებულია მხარეთა პირადი ინტერესებითა და სურვილებით. შესაბამისად, მოსამართლის მიერ აცილების საკითხის მიკერძოებულად გადაწყვეტის „საფუძვლიანი ეჭვი" ასევე უნდა გაუჩნდეს გარეშე პირს, სათანადო ცოდნის მქონე „გონიერ დამკვირვებელს". „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის ბ.დ. ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება ჩაითვალოს მოსამართლის მიერ საქმის განხილვისას მხოლოდ ისეთი „აშკარა" აცილების საფუძვლის უგულვებელყოფა, რომელიც პირდაპირ (ინტერპრეტაციის დაბალი ხარისხით) არის დადგენილი საქართველოს კანონმდებლობით. ამდენად, „გონიერი დამკვირვებლის" მხრიდან მოსამართლის ქმედების შეფასება, ამ შემთხვევაში, შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ კუთხით, თუ რამდენად დაარღვია მოსამართლემ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი აცილების იმპერატიულად დადგენილი ნორმები.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ 2019 წლის 22 ნოემბრის სხდომაზე მხარის შუამდგომლობა მოსამართლის აცილების შესახებ ეფუძნებოდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის „დ" ქვეპუნქტს. მოპასუხეს არ წარმოუდგენია დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა მოსამართლის მიერ კონკრეტული საქმის განხილვის მიმართ ფინანსური ან პირადი ინტერესის ქონას (ხსენებული ნორმის პირველი წინადადების წინაპირობა). რაც შეეხება მხარის არგუმენტებს მოსამართლის მიკერძოებულობასთან დაკავშირებით, საქმის მასალებში ამ ვარაუდების დამადასტურებელი დოკუმენტები არ მოიპოვება. ამ საქმის მიმდინარეობისას მოსამართლის ქმედებები არ იყო მართლსაწინააღმდეგო და არ განსხვავდებოდა მსგავსი საქმეების განხილვისას დადგენილი პრაქტიკისაგან. მოსამართლის მიერ აცილებიის საფუძვლებთან დაკავშირებული მსჯელობა გამორიცხავს გარეშე დამკვირვებლის საფუძვლიან ვარაუდს მოსამართლის მიკერძოებულობასთან დაკავშირებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, თუ სარჩელის ავტორი იურიდიული პირია, ის თვითონ არის ვალდებული ჩააბაროს მოპასუხეს სარჩელი და მასზე დართული დოკუმენტები, სასამართლო გზავნილის მიღებიდან 2 თვის განმავლობაში. ამდენად, მოპასუხისათვის სარჩელის და თანდართული დოკუმენტების გაგზავნა არ იყო მოსამართლის ვალდებულება და საჩივრის ავტორის განცხადება იმის თაობაზე, რომ მოსამართლე -- -- განზრახ აგზავნიდა სასამართლო გზავნილს არასწორ მისამართზე საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, სინამდვილეს არ შეესაბამება.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75[12] მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური

საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2021 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 10 წევრთაგან 9 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №199/19 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი